

შინაური საკმეხები

№ 31

შანი მართი შაური
 წლიური ფასა სამი მან.
 წელიწადი მეოთხე.

ქოხელ-კმრეული გაზეთი

კვირა, 2 ოკტომბერი 1911 წელი

ყოველ-კვირულ გაზეთ

შინაური საკმეხები

თაღო-კაზაკის შესახებ № 17). და აბილიში კომპოზიციონს ს.კ.მ.
 ხის ბაზარში, სიმონიანის შუშის მდარიაში, გამოვა ყოველ თვეში ოთხი
 ნომერი, ბბ. ხელის მომწერლებს ეთხოვთ გაზეთის ფასი მოელო წლის
 ერთად გამოგზავნონ.

წლიური ფასი: **3** მანეთი. | ნახ. წლით: **2** მანეთი. | მასიდან წლას ბოლომდე
 ადრესი: ქუთაისი: „შინაური საკმეხების“ რედაქცია.

შინაურსი: 1) ქრისტიანობა და საერთაშორისო მშვიდობიანობა—იათე—ზ.-ისა; 2) სიტყვა, წარმოთქმული დაეით სარაჯიშვილის სამარეზე დაკრძალვის დღეს—დეკ. 5. თალაქვაძის; 3) მიხეილ თამარაშვილი—„კოლხიდა“-სი; 4) ფიქრი ბაგრატის ტაძრის გამო-ტონკმელისა; 5) კვირიდამ-კვირამდე; 6) რა ეშველება?—სოფლის დაჩაგრული ხუცესისა; 7) ცოტა რამ სამრევლო შკოლებზედ—მღ. სევ. კეკელიძისა; 8) ვინ იყვნენ „პაპ“-ები ანუ „პაპ“-ები.—ბლ. ი. მარგინისა. 9) ნარევი; 10) „შინაური საკმეხების“ ფოსტა.

ძრისტიანობა და საერთაშორისო მშვიდობიანობა.

(ისტორიული შენიშვნა)
რუსულიდან.

შვიდასი წლის წინეთ ქრისტეს დაბადებისა, ხალხთა ურთიერთშორის მტრობის და ბრძოლის დროს, გაისმა მკვეთრი ხმა წინასწარმეტყველისა, ამ დროში მართლა წინასწართქმული და მოულოდნელი: „გამოვიდეს სჯული და სიტყვა სიონით, დასჯდეს შორის ერთა მრავალთა და ამხილოს ნათესავსა ძლიერსა ვიდრე შორადმდე და თანად დასჭრიდნენ მახეილებსა სახნისად და ლახერებსა (შუბებსა) მათსა ნამგლად და მერმე არღა აღილოს ნათესავსა ნათესავსა ზედა მახეილი და მერმე არღა ისწავლიდნენ ბრძოლასა“.

განვლო მას აქეთ ორი ათას ხუთასმა წელმა და ხალხთა შორის საზოგადო მშვიდობია-



ნობა და უბრძოლველობა კიდევ საოცნებო საგნათ დავგრძენია: ადამიანები კაცთა საეჭოტათ კიდევ სჭედენ, არამც თუ ხმლებს და შუბებს, არამედ ათას გვარ ზარბაზნებს და გაუმჯობესებულ ტყვიის მტყორცნელ იარაღებს და კიდევ სწავლობენ ბრძოლას.

უკვე მოვიდა ის სჯული და სიტყვა, ვინაშე წინასწარ გვითხრობდა წინასწარმეტყველი, რომელმაც გვამცნო გზა ნამდვილ ძმობასიყვარულისა და მშვიდობისა, მაგრამ ადამიანებმა კიდევ არ იციან თუ ისინი ძმები არიან.

ვინ არის ამაში დამნაშავე, ქრისტიანობა, თუ ისინი ვინც ქრისტიანებათ უწოდებენ თავს? ნამდვილ არის თუ არა ქრისტიანობის სწავლა-მოძღვრებაში, ქვეშაობიტი ძალა და საფუძველი საერთაშორისო მშვიდობიანობისა და დამარგუწველი ერთაშორის არსებულ ნაციონალურ მძულვარებისა. აი კითხვები რომელზედაც ჩვენ პასუხი უნდა მივსცეთ, საღის თვალით შევხედოთ და ავსწონ-დავსწონოთ ის ძალა და საფუძველი, რომელზედაც უნდა აღმოცენდეს საერთაშორისო მშვიდობიანობა.

იდეა საერთაშორისო მშვიდობიანობისა, გუშინდლიდგან არ აღორძინებულა, შეიძლება ვსთქვათ, რომ იგი თვით ურთიერთშორის ბრძოლის დაწყებისათანავე დაიბადა; სახელეუბნი, მშვიდობიანობის შექადაგებელთა, უძველეს დროიდგანვე არიან აღბეჭდილნი, მაგრამ უფრო გაბედულად მსჯელობა მშვიდობიანობაზედ დაიწყეს საბერძნეთის ფილოსოფოსებმა.

როდესაც პირნი, ედიპის მეფე, მიემგზავრებოდა სამხრეთ იტალიაში საომრად, მაშინ, მისმა შესაიდუმლემ და მეგობარმა, ფილოსოფოსმა კინემ მისცა მას, რამოდენიმე შემაშფოთებელი, კითხვა.

— რათ გინდათ ეპირის მბრძანებელს დიდი საბერძნეთი, რომ იქიდგან რომში შეხვიდე?

— მაგრამ ვსთქვათ, აღებულია რომი, დაპყრობილია მთელი იტალია, შემდეგ მაინც რა?

— მბრძანებლობა ისპანიაზედ, დაპყრობა კართაგენისა, მთელი აფრიკისა; თუ გინდ

ისიც იყო დაპყრობილი, მაგრამ მაინც რა უნდა ჰქნათ დიდო მეფე?!—მაშინ დიდება—სიმდიდრეში ვიწყებ განცხრობას, ჩემ სახელოვან გამარჯვებათაგან დაღლილი, უპასუხა პირმა.

—მარე ვინ გიშლის, რომ ვხლავე უკუაგლოთ ფიქრი ომზედ და მისს შემზარავ შემთხვევაზედ და თქვენი დაბოლო მიზანი მოიყვანოთ სისრულეში?

ფილოსოფოსი პლატონი ოცნებობდა ატლანტიდაზდ იმ იდეალურ მხარეზედ, სადაც ყველა მეფენი, ერთი კავშირით შეერთებულნი, ყოველივე მათ შორის ატეხილ დავას და საქმეს, არჩევდენ საზოგადო სამსჯავროში.

ფილოსოფოსი კრიტესი, მოწაფე დიოგენისა, აგრეთვე ოცნებობდა იმ იდეალურ მხარეზედ, რომლის მოქალაქენიც არ ომობდნენ; მაგრამ მიუხედავად ამისა ძველებური პრაქტიკა საერთაშორისო მშვიდობიანობისა, სრულიად არ უღრიდა იმ იდეალურ სურვილებს, რომლებსაც ჰხატავდნენ თვის ოცნებაში ფილოსოფოსები და მათ გვარი, ამ საგანზედ, მეოცნებე პირნი. არა მშვიდობიანობა, არამედ ომი და ელექტა იყო აუცილებელი მოვლენა ძველებური ხალხთა შორის.

ძველი ისტორია გვჩვენებს ჩვენ, თუ როგორ აღმოცენდებოდა ხოლმე სურვლი მსოფლოო სახელაწიფოს დაარსებისა და ამ სურვილის სისრულეში მოყვანის დროს, თუ როგორ იტლიტებოდა ერთი ეროვნება მეორისაგან.

მართალია, ამგვარ სახელმწიფოს დაარსებას შეეძლო, რამოდენამე ხნით მაინც, შეეყენებია ომიანობა და დაემყარებია დროებითი მშვიდობიანობა, როგორც ეს შესძლო, მაშინდელმა, რომმა, მაგრამ ეს მშვიდობიანობა იყო, ჯერ ერთი ხან მოკლე და უსაფუძვლო და მეორეთ მას ედვა სარჩულად: დაპყრობა, მონობა, ბატონობა ერთი ერისა მეორეზედ და შიში; თანაც იყო აღმოცენებული სისხლზე სიძულილზედ და მძლავრისაგან სუსტის დაჯანაზედ. ხოლო სიძულვილი, იმ დროის ხალხ-

თა შორის, შეიქმნა არა თუ ჩვეულებრივ მოვლენად არამედ კანონად. უცხოელ ბარბაროსებთან, ალაპარაკებს ლიკი, ფილიპე მაკედონელს, ბერძნებს აქვსთ და ექმნებათ დაუსრულებელი ომი, ვინაიდან ისინი არიან ჩვენი მტრები თვით ბუნებრივად და არა რაიმე გარდამავალ მიზეზებით.

თვით უმაღლესი აზროვნების ავტორიტეტი, სოკრატი არ ამალღებულა იმ აზრამდის, რომ ყველანი ძმები არიან და ამისთვის აღამიანები ძმურადაც უნდა სცხოვრობდნენ, არამედ ისიც კი ამბობდა: „ბერძნები იმუნად მაღლა სდგანან ბარბაროსებზედ, რამდენადაც აღამიანები ცხოველებზედა“ ამგვარად ქველმა ქვეყანამ არ იცოდა ის ზნეობრივი ძალა რომელზედაც უნდა დამყარებულიყო საერთაშორისო მშვიდობიანობა.

იუდელებსაც სწამდათ ერთი ღმერთი, რომელიც იყო ღმერთი ყველა სალხოსნობისა და არავითარ ნაციონალურ ღმერთს არ სცნობდნენ, მაგრამ მათაც ეს ღმერთი მიაჩნდათ არა საერთო მოსიყვარულე მამად, არამედ ერთ მკაცრ მსაჯულად, რომლის წინაშე ყველას პასუხი უნდა ეყო, ამისათვის არც ეს იდეა აღმოჩნდა მშვიდობიანობის საფუძვლად.

ხუთასი წლის წინეთ ქრისტეს დაბადებისა, დიდი ბრძენი და აღმოსავლეთის რელიგიის რეფორმატორი ბუდაც კი ასწავებდა თანასწორობაზედ, მაგრამ მის სწავლას ბევრი რამ აკლდა, რომ იგი გამხდარიყო ერთა შორის საერთო მშვიდობიანობის და ძმობა-სიყვარულის აკანად, ვინაიდან იგი ისწრაფვიდა „ნირჟანისაკენ“- ბუდისტის თვის პირადი ცხოვრებისათვის იღუწიდა და მას ძმურ სიყვარულსა და შემწეობისათვის არ ეცალა.

ამ საგანში ასეთივე სისუსტე გამოიჩინა მაშინდელმა „სტორიკიზმმა“ რომლითაც ისე ძლიერ გატაცებულნი იყვნენ მაშინდელი დიდკაცობა და რომის მცხოვრებთა უმეტესობაზე; ვინაიდან მას აკლდა ის ნაპერწკალი რომლითაც უნდა აღგზნებულიყო ძმური ერთობა ურ-

თი-ერთ შორის მშვიდობიანი დამოკიდებულობა.

ასე ამგვარად ხალხთა შორის, ძმობა-ერთობა და მშვიდობიანობა, შეიძლებოდა გამხდარიყო უფრო დიდ რამედ, ვინემ „ცარიელი ხმა“, თუ ხალხი შეიგნებდა არა ტეორეტიულად; არამედ თვით შინაგანი არსებით იმ ახალ ცხოვრებას, რომელშიდაც არ შეიძლებოდა მტრობა და სიძულვილი ერთა შორის, აი ამგვარი ცხოვრება, დაანახვა აღამიანებს ქრისტემ.

იათე—ზ

შემდეგი იქნება.

ს ი ტ ყ ვ ა

წარმოთქმული დავით ზაქარიასძე სარაჯიშვილის სამარეხე დაკრძალვის დღეს.

დიღუბის ტაძარი დღეს გლოვის ზარით ეგებება ქართველ ერის სასიკაძულო შვილს,— დავით ზაქარიასძე სარაჯიშვილს!

დღეს ამ წმ. ტაძრის ფრთეთა ქვეშე არსებული ქართველთ სახელოვან შვილთა პანთეონი მიიღებს თვისს წილში დიდად ნაჭირნახულევ, ქვეყნისათვის მოამაგე, იშვიათ თვისებებთ შემკულ ქრისტიანეს, დაულაღავ მუშაკს და უებრო მამულიშვილს!

განსვენებული ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში, უკანასკნელ აღმოფშვინვამდე, მამობრივი მზრუნველობით თავს დასტრიალებდა ტურფა, მაგრამ ახალ ცხოვრებისათვის ჯერ კიდევ ლარიბად შეიარაღებულ, ჩვენს პატარა საშობლოს!..

ქრისტიანული სულის განწყობილება განსვენებულისა უკვე საქვეყნოდ აღიარებული და ცნობილია! ქეშმარიტად „მარცხენემან მისმან არა იცოდა რასა იქმოდა მარჯვენე მისი“! (მთ. 6, 3.)

გარნა მარჯვენი მისი სიკვდილის შემდეგაც კი არ დადუმდა ქმნად კვდილთა საქმეთა მოყვისისადმი, ვანურჩველად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, თვისთა თუ გარეშათა!

ეს ქართველთ სიამაყე, ქართველურის გულუხვობით და სიკეთით იშვიათი ქველ-მოქმედია!

განსვენებულმა დავითმა, მოიბოვა რა თვის დაულაღვ შრომით და მაცადინეობით ეს ამოდენა სიმდიდრე, არ დაემონა ის ამ სიმდიდრეს, — როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე ასეთ შემთხვევაში, — პირიქით, ამსახურა და მოახმარა ის თვის ქვეყნის და მოძმეთა კეთილდღეობის, ახალ-თაობათა სწავლა-ღზრდის და მშობელ ერის გათვითცნობიერების საქმეს...

განსვენებულმა დავითმა, ჩვენში მისგან პირველად შექანილ ერთ-ერთ დარგს მსხვილ კაპიტალისტურ წარმოებისას, რომელიც საზოგადოდ ექვემდებარება ხოლმე სასტიკ ეკონომიურ კანონებს, — გულცივ კაპიტალს, — მან შთაბერა თვისი მხურვალედ მოსიყვარულე ქრისტიანული სული და ამეტყველა, ამოდრავა ის ქვეყნის საკეთილ-დღეობათ!

რამდენ ნივთიერად ხელ-მოკლე ახალგაზრდას უსარგებლნია დავითის მადლიანი შემწეობით?! რამდენ მათგანს მხოლოდ დავითის წყალობით მიუღია განათლება?! რამდენი კიდევ გაიკვლევს გზას ცხოვრებაში მისგინ ნაანდერძევ უკვდავ, უხვ შემოწირულებიდგან!

რამდენ განმანათლებელ დაწესებულებებს ჩაუდგა მან პირში სული! — რა იქნებოდა ჩვენი ქართული გიმნაზია უდავითოდ?! რა იქნებოდა წერა-კითხვის საზოგადოება და ქართული თეატრი უიმისოდ?! ვინ ჩაუყრიდა მკვიდრ საფუძველს ქართულ მუზეუმს, თუ არ ისევ ეს ჩვენი უხვი, — უანგარო დავითი?!

მაგრამ განსვენებულის დიდი მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში არ განიზომება მხოლოდ მისმაერ აუარებელ სიმდიდრის შექენით და ამ სიმდიდრის გონივრულად, სახარებისებურად მოხმარებით.

იმ დროს, როდესაც ქართველ ერს ჯერ კიდევ ვერ აეღო ალლო ახალ ცხოვრებისათვის, ჯერ კიდევ ვერ შეჭვებოდა მას, — განსვენებულმა დავითმა, პირველმა, საკუთარის მაგალითით გვაჩვენა, თუ რა გვარი საქმიანობა და მოქალაქობა ესაქიროებოდა ამ ხანად ჩვენს გალატაკებულ ქვეყანას!..

ვეროპიულად განათლებულმა და საფუძვლიანად განვითარებულმა დავითმა მრეწველობა ამჯობინა მოხელეობას, ფუქსავატ ცხოვრებას. მცონარეობას, რომელსაც ბევრი მისი თანამედროვენი შარბათივით ეწაფებოდნენ და, ისედაც გაძვალტყავებულ, ტანჯულ ქვეყანას უფსკრულისაკენ მიაქანებდნენ!..

რანდულად აღზრდილ მისს დროის ქართველებს მრეწველობა და ვაჭრობა რალაც არც ეხერხებოდათ და ესარცხვებოდათ კდეც...

ასეთი ყალბი შეხედულება ცხოვრებაზე საკუთარის მაგალითით, შრომის მოყვარეობით და მუყაითობით საბოლოოდ დაამსხვრია განსვენებულმა დავითმა და მით შრომის სარბიელზე გამოიწვია ჩვენი ხალხი..

მაგრამ ამ განუწყვეტელ შრომაში განსვენებული დასნეულდა და უდროოდ გამოესალმა წუთი სოფელს.

ამ სახით დავით სარაჯიშვილის საკვდილით ჩვენ დავკარგეთ არა მხოლოდ მდიდარი, ქველმოქმედი, სათნოებით და ყოველივე პატროსნებით აღსავსე პირი, არამედ, ამასთან ერთად — უბადლო ჭკუის მასწავლებელი ჩვენი ერისა, უებრო მამულიშვილი!..

ამიტომ განსვენებულის საფლავი დიდუბის ეკლესიის ეზოში მუდამ-ყამ სათაყვანებელი იქნება ქართველობისათვის.

ვინც მიისწრაფის ხოლმე ამ მამა-პაპათაგან ნაანდერძევ სიწმინდეში სალოცავად, ვინც მუხლთ იღრეკს ქართველთ ბაირონის — ნიკო ბარათაშვილის საფლავის წინ, ვინც სიყვარულით მოიხსენიებს ისტორიკოსს დიმიტრი ბაქრაძეს, დაუვიწყართ გიორგი წერეთელს, გი-

ორგი ქართველიშვილს, ვ. ჩერკეზიშვილს და სხვათა აქ განსვენებულ ქართველ მწერალთა თუ საზოგადო მოღვაწეთა, — ვინც მოიგონებს ჩვენს ძველს მოქალაქობას ამ წმ. ადგილზე, — ის შენის საუღლავის წინაშეც მოიდრეკს მუხლს და ლოცვა-კურთხევით მოიხსენიებს შენს შარავანდელით მოსილ სახელსაც; დაუვიწყარო, „კეთილო მონაო“, დავით!

ესლა კი — მოვედ, მამულიშვილო, რათა სამშობლო მიწამ ჩაგიკრას თვისს გაუმძლარ გულში!

მაგრამ ეს მიწა... ეს მიწა მსუბუქი იქნება შენთვის, ვინაიდან „ესვიდი უფალს და ის განგისვენებს შენ. (თხ. 39, 2) ამინ.

დადუბას ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი ნ. თაქაძე.

გაგა მიხეილ თამარაშვილი.

მ. მიხეილ თამარაშვილის გადაცვლების ამბავმა თავზარი დასცა ჩვენ საზოგადოებას და უმეტესათ იმათ, ვინც მას პირადათ იცნობდა. რკინის ენერჯის ადამიანის სახელი უნდა ეუწოდოთ განსვენებულს. ასეთი სახელი მან დამისახურა თავისი შრომით, ენერჯით, მხნეობით და სიმტკიცით.

პატარა მიხაკოს (მეორე სახელი მისი იყო — სანდრო, როგორც მას ეძახდნენ, სანამ ის ღვდლად ეკურთხებოდა) ბავშობიდანვე არა ჩვეულებრივობა ეტყობოდა. მისი მშობლები იმდენათ ღარიბნი იყვნენ, რომ ისიც კი ვერ შეიძლებს, რომ შვილისათვის პირველ დაწყებითი სწავლა მიეცათ. წერაკითხვა მას დააწყებინა ღვდელმა იოსებ ხუციშვილმა (გოდებაძემ)*. თი წლის იქნებოდა, ახალციხის საე-

კლესიო სასწავლებელში რო სწავლობდა, მაგრამ მშობლებმა მალე სწავლას თავი დაანებებინეს და 12 წლის ბავში ხარაზს მისცეს, რომ ეს ხელობა შეესწავლა და ღარიბ მშობლებს დახმარებოდა. ასე რომ, შკოლიდან მან თითქმის ვერაფერი გამოიტანა, ძლივს ახერხებდა წერაკითხვას.

მაგრამ მიხეილი ისე იყო ცოდნის სურვილით გატაცებული, რომ ხარაზის დაზგის ქვეშაც მუდამ წიგნი ქონდა ამოდებული და როგორც კი მოიცილიდა, სულ ამ წიგნს ჩასჩიჩინებდა. შეგირდი მიხაკო სინდისიერათ ასრულებდა თავის მოვალეობასაც და თვით ოსტატზე უკეთესსა და მაგარ წულებს კერავდა. ამას თვით მყიდველები ოსტატს აშკარად უცხადებდნენ და იმიტომაც იყო, რომ ოსტატი დაზგის ქვეშიდან წიგნის ამოდებისათვის შაგირდს სამღურავს ვერ უცხადებდა. რამდენიმე წელს იგი ქუთაისშიც იყო: მეხილე ძმის სოლომონის დუქნის ერთ კუთხეში იჯდა და წულებს კერავდა. შემდეგ ისევ ახალციხეს დაბრუნდა და 20 წლამდე ხარაზით დარჩა. ამ ხანში მას შემთხვევა მიეცა მშობლების დაუხმარებლად სწავლის სურვილი დაეკმაყოფილებია. სტამბოლიდან ახალციხეს მოვიდა ამბავი, რომ ცნობილი პეტრე ხარისკერაშვილის მონასტერს ჩვეულებისამებრ მოუთხოვია სოფლის ბიჭები, ვისაც სურვილი ქონდა ღვდლათ გა მოსულიყო. თუმცა მიხეილი შედარებით ხნიერიც კი იყო, მაგრამ ზოგიერთ პირთა შვამდგომლობით, მამა ხარისკერაშვილმა მიიღო იგი თავის სასწავლებელში. მიხეილი 1879 წ. გაეშურა სტამბოლს, მხურვალეთ მოეკლა სწავლა და ზედ მიწვენიათ შეისწავლა ქართული და რამდენიმე ევროპული ენებიც. ის თვალყურს ადევნებდა ქართულ ლიტერატურასაც და მეტათ გატაცებული იყო ქართველ კათოლიკეთა საკითხით, რამაც 1886—1893 წ. გამწვევებული ხასიათი მიიღო. ქართველ

* ეს ის ღვდელია, რომელსაც „ახალციხელ გუბერატორს“ უწოდებდნენ: მას თავისი გამოგონილი სახელით ქონდა: ის თავისი ხელით გამოტყობილი მოძრაობით ასოებით ბეჭდავდა ლოცვის წიგნებს. ამის გამო იგი, მგონია 1858 წ. მთავრობამ ღვდლობიდან გადა-

ყენა, შემდეგ თუმცა ეს ღვდლობა კვლავ დაუბრუნა, მაგრამ მისი ასოები წაართვა. ამ ასოებით დასტამებული ლოცვის წიგნები დღესაც მოიპოვება ახალციხეში და აქ, ქუთაისშიც.

კათოლიკეთ უნდოდან, რომ ეკლესიებში ლოცვა კურთხევა ქართულადაც უოფილიყო, სომეხ კათოლიკენი ამის ნებას არ აძლევდნ და სადაც ჯერ არს ცთილობდენ დაექტიცებიათ, რომ ქართველი კათოლიკენი სრულიადაც არ არსებობენ. ამ ნიადაგზე აშლილმა უთანხმოებამ გამოიწვია ის, რომ 1886 წ. ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე III უქაზით ქართველ კათოლიკეთ აღეკრძალათ ლოცვა-ვედრება ეკლესიებში ქართულ ენაზე. ამ ეამათ ამ აშლილ უთანხმოებას მორიგება ეტყობა და ქართველ კათოლიკეთ აღარ უშლიან ქართულ ენაზე წირვის წესს. მხოლოდ ამ ერთი თვის წინათ „სახალხო გაზეთმა“ გადმოგვცა, რომ ამ სამწუხარო მოვლენას თავი უჩენია სტამბოლში თვით განსვენებულ პეტრე ხარისკერაშვილის ტაძარში, სადაც ვილაც უფროს ღვდელს ბენედაქტეს, პირადი ინტერესებით გატაცებულს და სხვისდა სასიამოვნოდ, განუზრახავს ქართულ ენაზე წირვის წესის შესრულებას ეწინააღმდეგოს.

მ. მიხეილი თამარაშვილი რომ საქართველოში ღვდლათ ჩამოვიდა 1889 წ., ბევრი დაბრკოლება და უსიამოვნება გამოიარა ინტრიგების გამო. მას აეკრძალა ღვდლობა საქართველოში და აიძულეს 1800 წ. სამშობლოდ გან ევროპას წასულიყო. ზოგი კირი მარგებელიაო, — რომ რტყვიან, სწორეთ ასეც გამოდგა. მიხ. თამარაშვილი გაეშურა საზღვარ-გარეთ და გულ-მოდგინეთ შეუდგა გამოჩენილ წიგნთსაცავებში მუშაობას: ვატიკანში, ნეპოლში, ვილიანში, ფლორენციაში, პარიზში და სხ. რომში ყოფნის დროს ის სწავლობდა ერთ მაღალ სასულიერო სასწავლებელში და აგრეთვე კორესპონდენტობდა იტალიურსა და ფრანგულ გაზეთებში, სადაც ათავსებდა წერილებს ქართველ კათოლიკეთა შესახებ. ვატიკანის წიგნთსაცავი ზომ თითქმის საცხოვრებელ ბინათ გახადა. იგი გატაცებული იყო შრომით, ბევრჯერ ჰამასმაც კი ავიწყდებოდა, თუმცა, ისიც მართალია, რომ უსახსრობისა გამო ამ მოთხოვნილებას ისედაც ხშირად ვერ აკმაყოფილებდა. მისი გატაცებული შრომა ამ უზარ-

მაზარ წიგნების ლაბირინტში წიგნთსაცავის მკვლევების ყურადღებასაც კი იქცევდა და ამ მხრით იგი თითოთ საჩვენებელიც კი შეიქმნა. თავგანწირულმა მუშაობამ მალე ნაყოფი მოიტანა და მცირე ხანში რამდენიმე თხზულება გამოცა, რომელთა შორის სამი დიდი თხზულება ყურადღების ღირსი გახდა. 1) ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის მე-13 საუკ. მე-20 საუკ. 1902 წ. 2) პასუხათ სომხის მწერლებს რომელნიც უარს ყოფენ ქართველ კათოლიკობას, 1904 წ. 3) საქართველოს საეკლესიო ისტორია დასაბამიდან ჩვენ დრომდე, 1910 წ. ეს უკანასკნელი შრომა ფრანკულ ენაზე არის დაწერილი და ევროპელების ყურადღებასაც კი მიიქცია. ამ წიგნში საქართველოს ცნობებ შორის, არის აგრეთვე მოთავსებული ზოგიერთი ევროპის ერების ცნობებიც, რომელნიც აქამდე არ ყოფილა გამოქვეყნებული. ამის გამო რუმინის სამეცნიერო აკადემიამ საერთო კრების გადაწყვეტილებით შარშან მაღლობის წერილი უძღვნა მას და რუმინის პრესამაც დიდის ქებით მოიხსენია მ. თამარაშვილი. მიხეილ თამარაშვილმა თავის თხზულებებში დაამტკიცა ისტორიული, უტყუარი საბუთებით ქართველ კათოლიკეთა ქართუველობა, რაშიც თვით რომის პაპი და მთავრობაც დარწმუნდა და ლოცვა კურთხევა სამშობლო ენაზე ვეღარ აუკრძალა ქართველკათოლიკეთ. ამას მოემატა აგრეთვე 1908 კანონიც სარწმუნოების თავისუფლების შესახებ.

მ. თამარაშვილის ნაწარმოებმა აღმოაჩინა აგრეთვე ისეთი დიდძალი მასალა, ქართული ისტორიისათვის გამოსადეგი, რომ ვერც ერთი ქართველი ისტორიკოსი ვერ აუხვევს გვერდს მ. თამარაშვილის ნაწარმოებს.

დიახ, მამა მიხ. თამარაშვილის დაკარგვით ქართველმა ერმა დაკარგა მკოდნქ და ბეჯითი ისტორიკოსი.

განსვენებული ჯერ კიდევ სიცოცხლით და შრომის სურვილით სავსე იყო და ამ მოკლე ხანში კიდევ უნდა გამოეცა დიდი თხზუ-

ლება საქართველოს ისტორიის შესახებ, მაგრამ აღარ დასცალდა... უღმობელმა შაჟმა მიწამ მიიბარა მხნე შრომიან გატაცებული მუშაკი. იტალიურ გაზეთებში დაწერილებით არის აწერილი მისი ვინაობა, მისი თხზულებანი და აგრეთვე მისი „გმირული სიკვდილი“, როცა იგი თავდავიწყებით გადაეშვა წყალში, რომ მუშა სიკვდილს გადაერჩინა, მაგრამ თვით შეიქნა მსხვერპლი ამ გმირული მოქმედებისა, და ჩვენც ქართველებს გვმართებს ღირსეული პატივი ვსცეთ ამ აღამიანს, ვისმა უანგარო შრომამ დიდი განძი დაუტოვა ქართულ ისტორიას და ვისი მეოხებითაც უცხოელნი გაეცნობიან ჩვენს ტანჯულ ქვეყანას.

თფილისის ქართველობას გადაუწყვეტია რომიდან საქართველოში გადმოსვენოს ნაშთი მ. თამარაშვილისა. მოვალენი ვართ, ჩვენც, ქუთათურ ქართველებმაც მხარი დაუჭიროთ თფილისელებს და მივაბაროთ განსვენებულის სხეული მის საყვარელ სამშობლოს გულმკერდს, რომლის ნახვას სიცოცხლეში სულით და გულით ესწრაფებოდა.

მშვიდობით, დაულალავო, ნიკიერო, ჩვენი ქვეყნის უანგარო მოამაგე მუშაკო, კერძოთ ჩემთვის ძვირფასო და დაუვიწყარო მეგობარო.

„ძოლხიდა“.

ფიქრი ბაგრატიის ტაძრის გამო.

(ისტორიული სურათი).

ისტორია ბევრო სეირის მაყურებელია. წარმოიდგინეთ, რომ ისტორია არის ვებერთელა ფონოგრაფი, დადებით მასთან და დაუგდეთ ყური. რას არ გაიგონებთ?! უნუგეშო ცრემლის მღვრელის ქეითინს, სარკასტულს ხარხარს, მწყემსის წარმტაცი საღამურის კვნესს და ლაღს სიმღერას, შეყვარებულთა ჩურჩულს, ტანჯულთ გმინვას, თოფ-იარაღის რაჩხარუნხს და ტკაცანს და სხვას ბევრს.

ისტორია რომ ერთს დიდს სურათად წარმოადგინო, ზედ დაინახავ ხალხთა წარმოშობას და გაქრობას, ჯართა სერას, ზღვათა დაშრობას და მათთა და ბოცრეთა ამართვას, ძონძებში გახვეულთ და ოქროებით გაქვლილთა, ბედნიერთ და უბედურთ, ბატონთ და მონათ, მშვიერთ და მამღართ.

კიდევ ისტორიას შეიძლება ვუწოდოთ ის მატინე, რომელმაც ყველაფერი ის აგვიწერა და ჩაგვაბარა, რაც კი მომხდარა მის თვალთ წინ, მიუხედავად იმისა, საქები იყო ეს მოვლენა, თუ საგმობი, ან სამარცხენო, შედეგი ფატალიური აუცილებლობისა, თუ თვითნებლობა, ან გონიერი, თავისუფალი განზრახვა რომელიმე ბედნიერებისა.

ისტორია ის უცნაური წიგნია, რომელშიც ზოგი გვერდი ცრემლით დაწერალია ზოგი აღუღებელი სისხლით, ზოგიც შხამით შეზავებული ნაღვლით.

ჩვენ?! შეილნი ისტორიისანი?!

ჩვენ უნდა ვიცოდეთ ამ წიგნის კითხვა, ამ დიადი ამოცანის ახსნა, ამ სათვალის ნანღვილი მოხმარება, უნდა ვიყვნეთ ხიდი შემერთებელი, გადამბმელი წარსულისა მომავალთან, გაგრძელება ისტორიისა, დამფასებელი მისი კანისა და მგმობი მისი ცუდისა.

მხოლოდ ერთი რამ უნდა გვახსოვდეს: ყველა ვერ აპოვის ამ ფოკუსში, ამ წიგნში, ამ სარკეში თავის თავს, თავის სახეს, ბევრიც რომ ეძიოს! ბევრი მეორეთ აღარ მივა ამ სარკესთან, პირველთ რომ თავისს თავს შეხედავს, ზოგიც არც კი მოშორდება მას, სადაც მან თავი ჰპოვა უკეთესი სახითა, ვიდრე თვითონ აწმყოს სინამდვილეთა და ველარ ძღება მისი ცქერით.

ამ უკანასკნელთ ბედნიერს სიაში ჩვენ ქართველებიც უნდა ვერიოთ, თუ არა ვცდებით.

მაშასადამე ჩვენც სიამოვნებით, მედიდურად უნდა ვიკვირებოდეთ ჩვენს ისტორიულს

სარკეში და მოგვწონდეს თავი მისი ს-უცხოვო სანახაობით, მისი მრავალფეროვანი კალეიდოსკოპით.

აბა ჩაიხედეთ ამ სარკეში და დააკვირდით! რას ამჩნევთ? ურარტუს, პონტოს, კაპპადოკიას, ექსინს, ქალდეას, გელესპონტს, პანტიკოპეიას, ფაზისს, არგონავტებს, ოქროს ვერძს, თვალმაქცს მედეას, უცნაურს ამაზონებს, ბიკინტას, და მათს მიდამოებში კალიასავით მოფუსფუსე ურარტელებს, მაკროლებს, კოლხებს, იბერებს, ე. ი. ქართველებს.

ხედავთ, რომ ეს დაულალავი ფუტკარი შეუპოვრათ ებრძვის სემირამიდის ბქეს, დარიოსის სატრაპებს, კვიროსს, ალექსანდრეს, პომპეის, გადმოლახავს ისტორიულს დაბრკოლებებს, შექმნის სოლოურს ნიშნებს, საუკეთესო ანბანს, მდიდარს მეტალურგიას, მდიდარს მწიგნობრობას; საკუთარს ცენტრებს ცივილიზაციისას, მ ტოქეობას გაუწევს ბიზანტიას და მიჰყვრფლავს საბერძნეთის კალონიებს შავი ზღვის პირზე, წარმართობის ბნელში მსხდომს აზიაში ქრისტიანობის სხივს შეიტანს, ეტრატებით აავსებს პალესტინას, სინაი, შავი მთის, ულუმბის და ათონის საავანეებს, აპაყად წარსდგება ბიზანტიის სამეფო კარზე და მისს ისტორიულა მომენტებს სწყვეტს, მიუხტება განდიდებულს ანტიოქიას და უკან წააღებინებს უკადრისს განზრახვებს, შეჰკრავს მისს გზებს და საკათალიკოსო კანდიდატებს იქითაჲნ ალარ გაუშვებს, საბერძნეთში ზოგჯერ მიფერფლილს სარწმუნოებას და იერარქიას მცხებთაში დაკრძალავს და გააღუებს, ააგებს ურიცხვს სამსხვერპლოებს და შესწირავს ქრისტიანობის ისტორიაში უმაგალითო მსხვერპლებს, მიესვეა ათონის სიბრძნის აკეიანს, ამოსწუწუნის მისს გემრიელს წვენს, რომ მით ეროვნული კულტურა ელლინური მადლით შეაზავოს და მსოფლიური სიფართე მისცეს, დაჰბადებს ფარნაოზებს, გორგასლანებს, კურატპალტებს, ბაგრატებს, დაეითებს, თამარებს, გიორგი ბრწყინვალეებს, ერეკლეებს—გვირგვინოსანთ, მღვდელმთავართ, მწიგნობართ, გმირ

მამულიშვილთ, რათა ისტორიის კანებაზე ეროვნული სამერმისო ხაზებმა გაავლოს, და გაავლო კიდევაც. აგერ პროხორე, სტეფანე. დავითი, მიხეილი პლესტინაში და სინაზე, გიორგი, ექვთიმე, იოანე, თორნიკე, ათონზე, აგერ იოანე ხახულში, არსენი იყალთოში, გიორგი მარტვილში, აგერ კიდევ მიქელი, ფერემ მცირე, პეტრიწი, ბოლნელი, ნინოწმინდელი, ჭყონდიდელი, გენათელი, და სხვა პლეიადა სულიერ მოღვაწეთა, ეროვნულ ტაძრის მაშენებელთა. აი კიდევ შოთა, ხონელი შავთლი, თმოგველი ჩახრუხა, ძაგნაკორი, მეფსალმუნე დავით აღმაშენებელი, თემურაზ, არჩილ, ბესიკ, გურამიშვილი, იოსებნი, საბა—და თვით ერთა ჯადოსნური მხატვარნი ქართველი ერის სულის კვეთებისა, შემკობნი პორფიროსან გვამთა, ხალხის გმირთა, ვახტანგთა, ამირანთა, ავთანდილთა, თამართა, ერეკლეთა, თორღვათა, ზეზვათა, ზურაბთა, როსტომთა, კოლოლათა, ანდუყაფართა, ერისთავთა, სააკაძეთა, მცხეთელ ანდრიათა, თორნიკთა, ჯოჯიკთა, გამრეკლიძეთა, მხარგცილთა და სხვათა და სხვათა!..

აი ქართველი ფიღა და მისი ათინა ბალაღები და აპოლონები—ეგვიპტისებური კალონები, სვინქსები, სარკოფაგები, პირა მიდებისებური ციხე-კოშკები, ტაძრები, გამოქვაბულები: ფარძია, მივიმე, ბარაკონი, კიდევ ხახული, ოფიზა, საფარა, მცხეთა, ახტალა, გულათი, მარტვილი, ატენი, ალავერდი, გარეჯა, შუამთა, ნიკორწმინდა და ესეც ჩვენი ბაგრატის ტაძარი! აბა მოწამენი განვლილი დიდებისა, მამა-პაპათა გენისა, გაუპობელი მკერდისა, მხურვალე რწმენისა!.. აი ერი მაშენებელი, ჩვენი მოძღვარნი, გზის მაჩვენებელნი, მერე და მიედივართ კი ამ სხივ-პოსილს გზაზე! დსწავლობთ მაშენებლობას და ვუმაღლით მადლიან მამათა? ვუვლით ამ საერო პანტიონს! ვნათოლდებით მათი სხივმოსილობით?

არა, სამწუხაროდ, არა! აგერ თუნდაც ბაგრატის ტაძარი—ძველი საქართველოის სულის უკვდავებისა, 800 წელი სდგას იგი მთა-

ზე, ამაყად სდგას და გულდათუთქული, ნაღვლიანი თვალით გასტკეპრის თავისს ტიპს მძას—გელათს შურას თვალით, გულის წყვეტით, რომ იგი ისევ გვირგვინოსანია, თვითონ კი ლეიქ—ღიაღვმა—გვირგვინ გადავლევჯილი და მტარვალის ხელით დასახინჩრებული!

ჩვენ? ჩვენ კი ძენი მისნი, შევქმნილვართ უბრალო სვირის მაყურებელნი და გულქვავი ამტანი იმ სცენებისა როდესაც ჩვენ თვალწინათასი ქურდ-ბაცაცის ქობ-მახი აშენებულა ამ ეროვნული თავმოწონების ნანგრევებშიდგან, როცა ათასგან შეგზვდება ალიზით შეთითხნილ ქობ. ბში ბაგრატის გარშემო კედლებში დატანებული ჩუქურთმიანი ქვები რიონის რიყესთან, ტალახთან და ჩალასთან ერთად! აგერ კათალიკოსის განსასვენებელი საყდარი მთულუხის ცოლის ჩამოსაჯდომ ქვად დაუდგამთ ქობის წინ, ბიზანტიური კალონები, ღირსნი ვატიკანში და ბრიტანიაში დაკძალვისა, თავლების სვეტებათ გაუხდიათ და ზედ ცხენები მიუბამთ.

განა ცოტანი ეყოვილვართ ამის მოწმენი!? როცა გიქმა გ—ძემ ღონის გამოსაჩენად ბაგრატის ტაძარში ძველი საფლავების ქვები მიღწე—მოღწეა, ბრბო, მაყურებელი ამ ვანდალიზმისა, კიდევ უფრო აქეზებდა გიყს აბა იმ კედლამდე თუ ისერი ამ ქვას ან ერთი დაკვრით თუ გააბობო!

განა ცოტანი მსხდარან საპატიო სკამზე ბაგრატის გო—ახე ჩვენი მამულის შევლნი? ავილოთ თუნდა ჩვენი მღვდელ-მთავრები მე-17—20 საუკუნეებისა. გინდა თვით განსვენებული გაბრიელი. რატომ ვერ შესძლეს დაცვა ამ ძეგლისა, მისი შემოღობვა?! ან სად იყო არქეოლოგიური საზოგადოება, რომელმაც თავისი მოვალეობა 1881 წ. მკხუთე კრების დროს თბილისში მით შემოთარგლა, რომ მთელი ეკსპედიცია გამოგზავნა ქუთაისში დიმიტრი ბაქრაძის და გიორგი წერეთლის მონაწილეობით მხოლოდ იმისთვის, რომ წითელი ნომრები დაესვა ტაძრის ნატეხ ქვებზე და წასულიყო დამშვიდებული!

ნუ თუ ქვების დანომერა ჰყოფდა ამ დიდებულს ნაშთს უზრუნველ და გადაარჩენდა განადგურებისაგან!! არა და ხომ ინგრევა ისიც დღეს, რამაც ამდენს ხანს უცადა პატრონს და რასაც ეს პატრონი არ გაუწდა. საუკეთესო ქვა, აღმოსავლეთის კარის თაღში ძვირფასი წარწერით ასომთავრულად დაშლილა, მოშორებია კედელს, გადახრილა და დღეს თუ ხვალ ძირს ჩამოცვივა მისი ნატეხები და გაქრება ის წარწერა, რითაც ვამაყობდით ჩვენ აქნამდის.

მით უმეტეს სასიამოვნოდ გახდა ჩვენთვის გაზ. „კოლხიდის“ მე-144 ნომერში მოთავსებული ცნობა, რომ ყოველად სამღვდლო იმერეთის ეპისკოპოსს გიორგის განკარგულება უნებებია, რომ გაიმართოს ხელის მოწერა საქირო ფულის შესაკრებად, რომ ამ ფულით შემოზღუდულ იქმნას ეს დიდებული ნაშთი და მით დაცულ ბარბაროსობისაგან.

დიდი მადლობის ღირსია ყოველად სამღვდლო გიორგი ამ კეთილი საქმისათვის და სრული იმედიც უნდა ვიქონიოთ, რომ ამ საქმეს იგი სასურველს ბოლოს მისცემს. რაც ყ. დ სამღვდლო გაბრიელმა 40 წლის გამაფლობაში ვერ გაიხსენა და ვერ მოიფიქრა, ის მოიგონა ყ.დ სამღვდლო გიორგიმ! იმედია საზოგადოებაც ჯეროვანად დაათასებს ასეთს მამულიშვილურ საქმეს!

ტონკეკლა.

კვირიდამ-კვირამდე.

სინოდის კანტორა საეპარქიო კანცელარიების მოსამსახურეთა ახალ შტატებს აღგენს. განზრახულია მოსამსახურეთა ჯამაგირის მომატება და შტატის გადიდება. ამ საგნის შესახებ ახლახან ჩვენი კანცელარიის მდივანი ბ. ე. ს. თუთბერიძეც ვაიწვიეს თბილისის სათათბიროთ.

სავაქრო-სამრეწველო სამინისტროს ნება დაურთავს ვენახის და ბაღეულობის საექიმო მანქანების უბაჟოთ შემოტანაზე საზღვარ გარეთიდან. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ზომა ცოტათ მანც გააიფებს ამ მანქანებს. მანქანების გამოწერა ყველას შეუძლია, მხოლოდ ყოველ გამოწერის დროს უნდა წარადგინოს მიწათმოქმედების დეპარტამენტის მოწმობა.

იმავე სამინისტრომ ყურადღება მიაქცია პურის ფქვილის გაძვირებას. მინისტრის მინდობილობით სავაქრო დეპარტამენტის ვიცე-დირექტორი ბ. ბოროდავესკი ამ დღეებში თათბირს გამართავს, რომელშიდაც მონაწილეობას მიიღებენ პურის საფქვავ წისქვილების მეპატრონენი, პურის ვაჭრები და მცხობელები. ამ თათბირს საგნათ აქვს, გამოიკვლიოს პურზე ფასის აწვევის მიზეზები და გამოსძებნოს საშუალება მათი მოსპობისა.

როგორც ვახ. „კოლხიდა“ ვაღმომგვცემს, მ. ბეს. ვაშაძეს ქიათურაში ბაგრატის ტაძრის სასარგებლოთ სხვა და სხვა პირთაგან, რომელთა სიაც იქვეა მოყვანილი, 60 მანეთი და საამი აბახი შეუკრებია. ძვირფასი მავალითია სამღვდლოებისათვის!

რა ეშველება?

შავ-ბედიტმა საქართველოს ეკლესიამ იმ თავითვე დიდი ვაი ვაგლახი გამოიარა. მტერმა ისე შეკრა და შებოჭა, რომ სიკვდილის პირს მიიყვანა, მაგრამ „მისი ბჭენი“ ვერაფითარმა განსაცდელმა, მტერმა და ეამთა ვითარების სიიფემ ვერ შეარყია, ოდნავაც ვერ უცვალა ფერი. რაც დრო გადიოდა, ის უფრო სიმტკიცეს იჩენდა და თავის დანიშნულებებისათვის ერთხელაც არ უდალატნია. თუ რამე კულტურის ნასახი მოიძებნებოდა საქართველოში, ეს სულ ეკლესიის ნაამაგარი იყო; ლიტერატურა

უმალეს მწვერვალადმდე აღიოდა, განათლებას, ცოდნას, ხელოვნებას და ყველაფერს. რაზედაც შეგნებული ადამიანი უნდა იყოს დამყარებული ყველგან, ყოველთვის ეკლესია უდგა სათავეში, მით იწყებოდა წინსვლელობის, წარმატების გზა და მითვე თავდებოდა. XIX და XX საუკუნოებში კი საქართველოს ეკლესია ის აღარაა რაც იყო... რაც მოუხდა და რაც განიცადა მნ, ამის ამბავს აქ აღარ გამოუდგებით. დეე, ისტორიამ დადოს მსჯავრი... ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ დღევანდელ მის სავალალო მდგომარეობაზედ გვინდა მიუთითოთ მათ, ვისაც ეკლესიის „ჭირი—ჭირადმიანია და ლხინი—ლხინად.“ ასე იყო თუ ისე ხალხს მიაჩნეს მღვდელ-მეღვინეთნა არჩევის უფლება. ეს მოხდა 1907 წ. მას აქეთ ხუთი წელიწადია, ეს არჩევითი წესი მაჯლაჯუნასავით დასწოლია ჩვენ ხალხს თავზე, „შავბედითი ყორანივით თავს დაჩხავის“, უფსკრულისაკენ მიაქანებს, და მხსნელი კი არსით სჩანს. ნეტავი სანამდისინ უნდა იყოს ამ უმწერო მდგომარეობაში იგი? ორ-სამ გზის ითხოვა იმერეთის სამღვდლოებამ მთავრობის წინაშე ამ არჩევნების წესის მოსპობა, მაგრამ არ იქნა არა ეშველა რა!... ამავე სამღვდლოების ამ საკითხის შესახებ უმაღლეს მთავრობასთან ნათხოვნი შუამდგომლობა ამ ეამად, როგორც ამბობენ, მისს მაღალ ყ.-დ უსამღვდლოესობას საქართველოს ექსარხოსს ვადაეცა განსხილველად და თავის აზრის წარსადგენათ უწმიდეს სინოდში. ღმერთმა კარგი დაგმართოს, არჩევნები საზოგადოთ კარგი იყოს ყოველ სფეროში, მაგრამ ამისთანა არჩევნებიდგან ღმერთმა ყველა დაიფაროს! იყო დრო, როდესაც არჩევნებს კარგი შედეგები ჰყვებოდა ხოლმე, მაშინ იყო „ერთი სული და ერთი გული“ და ახლა, რას ვხედავთ? ამრჩევებლად გამოდიან ჯერ სულ ყოველგვარ შეგნებას მოკლებული და უმცარნი და მერმე სხვა და სხვა დასის, ბანაკის და მიმართულების ხალხი. ერთი შეპყრობილია ანგარებით, მეორე ნათესაეობას და ნათელ-მირონობას ევლარსად მიუღის, მესამეს წარმოდგენილიც არა აქვს რა იღვას ემსახუ-

რება მღვდელი, ვისთვის რა მაქნისია, სასმელია თუ საკმელი, მეოთხე ზიზლით უყურებს მღვდელს და სრულიად არაფერს ნიშნავს მისთვის; ზოგიც „მამონას“ ემსახურება და ეკლესია და მღვდელი აინუნშიაც არ მოსდის. რა სიკეთეს უნდა გამოველოდეთ არჩევნილებთან?

რა თვალთა ხედვის ისრით შეხედავს მისი მეუფება საქართველოს ექსარხთს ამ საკითხს, ეს ჩვენ არ ვიცით და ეს კი მტკიცეთ გვრწამს, რომ ნეუძღვებობა და შეუფერებლობა თანამედროვე ცხოვრებასთან ამისთანა სისტემისა სამღვდლოებაში ყველასაგან აღიარებულია და ეს საკითხი იმდენათ მომწიფებულია, რომ რაც დროით იქმნება იგი მოსპობილი ჩვენში, მით უფრო მიუცილებელია, თუმცა ამით მთელად კი არ განიკურნება ეკლესია სენსგან, მაგრამ ისიც კარგია რომ ერთი მუწუკი მაინც გამოიარწყვება. ეს ჩვენი საჩივარი „არ ახალია, ძველია“ მაგრამ ჩვენ რაც გვაწუხებს იმას უნდა ვლადებდეთ დღე მუდამ და ვინ იცის ოდესმე მაინც ასრულდება თქმულება: „ითხოვდით და მოგეცესთო“. თუ რამდენათ სამღვდლოა ჩვენში არჩევნითი წესი, მოვიყვანთ მაგალითს ამაზედ: ერთ-ერთ მრევლში მოხდა არჩევნები მღვდლისა. ამრჩევლებში კენჭის ყრამდე ჩამოიარეს ჯერ გავლენიანმა პირებმა და მანუერინეს ძალა-უნებურათ ხელი ყველას, რომ ჩვენ მღვდლად გვინდა ეს და ეს პირიო, კენჭის ყრის დროს დატრიალდნენ ჯარსავით და ყოველგვარ საშუალებას მიმართეს, როგორმე თვისი კანდიდატი გაეყვანათ. ზოგი უმაღლეს სწავლამილებულები ამტკიცებდნენ და პრაპაგანდას ეწეოდნენ ხალხში: „ჩვენთვის საჭიროა მხოლოდ ანაფორიანი კაცი, წერა-კითხვის მკოდნე და სხვა არავითარი პირობები არაა საჭირო კანდიდატისთვისო“. ზოგიერთები ამბობდნენ: მაგ თუ არ ავირჩიეთ, ღარიბია და სიმშვილით სული ამოხდება ცოლშვილიანაო, ზოგიც ასე სჯიდა: მაშა თუ მღვდელი ყავდა შვილიც მღვდელი და მისი მოადგილე უნდა იყოს რასაკვირველიაო. აი ამისთანა პრინციპებით ხელმძღვანელობდნენ ეს ვაგბატონები და კიდევ გავიდნენ ლელოს.

ავილოთ ბლალოჩინის არჩევა ერთ ცნობილ ოლქში. ამრჩევლები ამბობდნენ: ჩვენ გვინდა ისეთი ბლალოჩინი, რომელიც ჩვენი სისხლი და ხორცი, ამხანაგი და ძმა ბიჭი იქნებაო, საჭიროა საბლალოჩინო კანდიდატს კონდეს უთუოთ კანცელარია ერთ-ერთ დაბაში, მოწყობილი ყოველგვარი ავეჯითო. ამას თვითონ საბლალოჩინო კანდიდატიც ეუბნებოდა ამრჩევლებს მღვდლებს. მიუცილებელად,—გაიძახოდნენ ზოგიერთი ამრჩევლები,—ბლალოჩინის უნდა იყოს, ვინც ბლალოჩინის თანაშემწეაო, მაშ ტყუილად აირჩიეს ბლალოჩინის თანაშემწეთაო? თვითონ კენჭის ყრის დროს მუშტი კრივით და ყვირილით ეწეოდნენ აკიტაციას ზოგიერთი საბლალოჩინო კანდიდატის კომპანია და კიდევ თავისი გაიტანეს, ე. ი. აირჩიეს, ვინც უნდოდათ. თვითონ არჩევის დროს ერთგვარი ფოკუსიც გამოვიდა: ერთს კანდიდატს ბარათებით უმეტესობა ასახელებს, მაგრამ კენჭი ნაკლები ამოდის, ხოლო მეორეს კენჭი მეტი ამოუდის, თუმცა ბარათებით ნაკლები ნაწილი ასახელებდა. ეს მაგალითები მხოლოდ ილიუსტრაციაა და სხვა კიდევ რავდენია ვინ მოსთვლის!..

სოფლის დანაკრული ხუცესი.

ცოტა რაზ სამკაფლო შკოლმაზედ.

წელს, თიბათეში, წლიურ გამოცდების დროს, შემთხვევა მომეცა დამეველო ჩვენი გამოჩინებულის საბლალოჩინო ოლქსს, სამრევლო სკოლები და გავცნობოდი მათ სიაყარგეს. უნდა ვსთქვათ, რომ ისინი თავიანთ ღირსება ნაკლულეფანებით არც ჩამოუვარდებიან და არც აღემატებიან სხვა კუთხის ამგვარსავე ტიპის შკოლებს. შკოლები ბლომათაა, თითქმის ყოველ სოფელშია, მაგრამ შეიძლება ჩართვალოს ხეირიან ნიადაგზედ დაყენებულად მხოლოდ ორი ან სამი შკოლა. როგორც ვთქვით, შკოლები მრავალია შედარებით, მაგრამ მათი სიმრავლე კი არ არის საქმე, საქმე

მისი გონიერი და საღი პედაგოგიურის პრინციპების დაგვარად მოწყობაა. ეს ყველამ ვიცით, რომ სკოლის სული და გული მასწავლებელია. მასწავლებელი, რომელსაც აქვს მოწოდება და საქმის სიყვარული, რომელიც აღჭურვილია პედაგოგიური ცოდნით და რომელიც ყურადღებას აქცევს პედაგოგიურ ლიტერატურას კიდევ და კარგათ დააყენებს შკოლას აღზრდა-განათლების მხრივ. და ამნაირი ხეირიანი მასწავლებლები მოიძებნებოდნენ თურმე ამ ოლქში მხოლოდ ორი; გვარად თებზაძეები, რომელთაც მთელი ახლო-მახლო მცხოვრებლების სიყვარული და ნდობა და კარგი მასწავლებლების სახელი ქონდათ დამსახურებული; აფასებდა სამოსწავლო საბჭოც მათ, როგორც კარგ მასწავლებლებს, და მადლობას მადლობაზედ უგზავნიდა სკოლის კარგ ნიადაგზე დაყენებისათვის, მაგრამ ბოლოს ორივენი დაითხოვა, ვითომდა რა, ეკზამენი არ გაქვთ დაქვრილიო და ამიტომ მასწავლებლათ ვერ ივარაუბთო. დათხოვის რამდენიმე ხნის შემდეგ იგივე საბჭო უგზავნის მათ ქალაქს მადლობის გამოცხადებით, რომ კარგათ მიგყავდათ სწავლა-აღზრდის საქმეო. ნუ თუ საბჭოს არ შეეძლო დაეტოვებია ისინი ალაგზედ სანამ ეკზამენს დაიქვრდნენ? ნუ თუ ცოტა ყავს ჯერ ეკზამენ დაუქვრლები?*

საზოგადოთ უნდა ესთქვათ, რომ ჩვენი სკოლების უმეტესობა ხეირიანათ მომზადებულ მასწავლებლებს მოკლებულნი არიან და ეს არის უმთავრესი მიზეზი მათი დაქვეითებისა შედარებით სამინისტრო სკოლებთან. ჩვენი მასწავლებლების უმეტესობას კურსი აქვს დამთავრებული მეორე კლასიან სამრევლო სასწავლებლებში, პედაგოგიკის ელემენტარული ცოდნაც არა აქვთ ან სკოლის გარეთ არ გამოყოფილიათ. ამნაირივე ცოდნის საღაროს წარმოადგენენ სკოლების მ. მ. მმართველ-გამგებების და იმავე დროს საღვთო სჯულის მასწავ-

*) სწორეთ რომ არ შეეძლო „უქაზის“ ძალით და არც ყავს დღეს ასეთი მასწავლებლები.

ლებლების უმეტესობა და რა გასაკვირია თუ ასეთი სკოლები თავის დანიშნულებას ვერ გამართლებენ და ვერ დაიმსახურებენ ხალხის პატივისცემას და თანაგრძნობას და ეს მით უმეტეს, რომ იქვე, გვერდში, ხედვენ დედოფალსავით მოწყობილ მოკაზმულ და სწავლა-განათლების მხრივ შედარებით მშვენივრად დაყენებულს სამინისტრო სკოლებს! არიან, რასაკვირველია, სამრევლო სკოლებში კარგი მასწავლებლებიც, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, მაგრამ უმეტესობა მათგანი თავის თავს დროებით თავშეფარებულათ სთვლის ჩვენს სკოლებში და შემთხვევას ელის, რომ გადვიდეს სხვა უწყების სკოლებში. არ ვიცი აწი როგორ მოეწყობა საქმე. თორემ ამ დრომდის კი ბევრი გადადიოდა სამინისტრო სკოლებში (და ისიც საუკეთესოები) ამის უმთავრეს მიზეზად კი უმეტეს შემთხვევაში უნდა ჩაითვალოს ცუდი დამოკიდულება, განხეთქილება, გამგეზვდელ და სამაზრო-საეპარქიო მეთვალყურეებსა და მასწავლებელ შორის. ზოგიერთი ჩვენი თანამოძმეები და უმეტესად კი quasi-ინტელიგენტები ხშირად, წარამარა, უსაფუძვლოთ აჩვენებენ ხოლმე მასწავლებლებს თავის კლანქების საბასრეს; ლახვენ მათ თავმოყვარობას და ავტორიტეტს ხალხის თვალში; ისინი მასწავლებელს უყურებენ, არა როგორც მოღვაწეს, არამედ როგორც თავის პირად მოჯანაგირეს და ყოველივე ამითი უნდათ დაიკმაყოფილონ ეინი თავიანთი თავმოყვარობისა და აგრეთვე უნდათ უჩვენონ ხალხს, რომ ისინი არიან გამგეზვატრონები სკოლების და ბატონები მასწავლებლების (ამის მაგალითები მრავალია და ყველამ იცის).*) ამნაირადვე ექცევიან მასწავლებლებს და ამნაირისავე შეხედულების არიან მათზედ ზოგიერთი სამაზრო და საეპარქიო სკოლების მეთვალყურეები. საკმარისია, რომელიმე მათგანს არ მოეწონოს მასწავლებლების ფიზიონომია, ან არ იკადროს მის მიერ თუნდ სამართლიანად შებრუნებული

*) კარგი იქნება, ავტორი ამ თვალსაჩინო მაგალითებით, გველაპარაკებოდეს და ან კალავ დაგველაპარაკებოდეს.

რედ

რედ

სიტყვა, რომ იმ წამსვე დაითხოვონ ან სხვა უვარგის ადგილზე გადაყვანონ. ამის მაგალითებიც მრავალია და ყველას შეუძლია მოიგონოს. ამნაირი არა ნორმალური დამოკიდებულება შკოლის მოღვაწეებთან და გამგეთა შორის ჰქმნის შკოლაში არა ნორმალურ ატმოსფერას და ხდება შეტაკება, კინკლაობა, რაც არა სასურველად მოქმედებს მოსწავლეებზე სწავლა-აღზრდის მხრივ. ამნაირ მდგომარეობაში მასწავლებელი ყოველთვის ეცდება გადავიდეს მეორე უწყების შკოლაში თუ მოუხერხდა და უხერხდება ეს კი მხოლოდ რჩეულებს, კარგებს და იმათი წასვლით კი ცალიერდება ჩვენი შკოლები.

ამნაირათ, ზოგიერთ მასწავლებლის გაქცევას პირიპირ ხელს უწყობენ ჩვენი მეთვალყურეები, და ამავე დროს კი სრულიად არაფერს ღონობენ დარჩენილ მასწავლებლებს ცოდნის შესახებ და გასაწრთენლად. ყველასათვის ცხადაა, რომ სამინისტრო შკოლების მასწავლებლები უფრო მომზადებულნი არიან ვინც ჩვენი, შედარებით უფრო კარგათ მიყავთ შკოლის საქმე სწავლა-აღზრდის მხრივ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დირექციები ყოველ ზაფხულობით, თითქმის ყოველ მაზრაში მართავენ მათთვის საზაფხულო კურსებს, სადაც პრაქტიკულად ავარჯიშებენ გამოცდილ მასწავლებლებს ხელმძღვანელობით და უკითხავენ მათ გასაგებ ენით ლექციებს მეცნიერების სხვა და სხვა დარგიდან და მეურნეობიდან, ჩვენი შკოლების მეთვალყურეები და საბჭოები კი ამ მხრივ არასფერს ამის შესაგებს არ აკეთებენ, არც კურსების ჯავრი აქვთ, არც ლექციების და ექსკურსიების, რასაც ხშირად მართავენ ხოლმე კურსების შემდეგ მასწავლებლები და რასაც დიდი აღმზრდელ-განმანათლებელი მნიშვნელობა აქვს. საქიროა დღევანდელი სამრეწველო შკოლების ხელმძღვანელებისათვის არა კაბინეტური მუშაობა, საქიროა სერიოზულად საქმის ხელის მოკიდება; საქიროა მისცენ მასწავლებლებს მეტი მომზადება და ამასთანავე მეტი ინიციატივა. საქიროა მათი როგორც მატერიალურად, ისე ზნეობრივად გამზინება და

მათთან ზრდილობიანი და სამართლიანი დამოკიდებულება. საქიროა უყურებდნენ მათ როგორც ხალხისთვის თავდადებულ მოღვაწეებს. საქიროა არსებული კომპლექტი მასწავლებლებისა განაფითარონ გონებრივად და შეუვსონ მათ ცოდნის ნაკლი, რომ ისინი თავიანთ ადგილებზე იყვნენ და ასრულებდნენ პირნათლად თავიანთ დანიშნულებას, თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამრეწველო შკოლებს თან-და-თან გამოეცლება ნიადაგი, სრულიად დაკარგავენ ხალხის სიმპატიას და აღიგვებიან დედამიწის პირიდგან და მერმეთ ხალხს მათდამი გულგრილობას ნუ კი დააბრალებენ ამისანა შედეგს, არამედ თავიანთ გულგრილობას იმავე შკოლებისადმი.

მდ. სეგ, კეკელიძე.

ვინ იყვანს „ბაბ“-მზი ანუ „პაპ“-მზი.

(დასასრული *).

ერთს ზაფხულის დღეს ორი მღვდელი მიადგა მურზა მარგიანს, როგორც პურმარით განთქმულს, და მფარველობის გაწევა სთხოვა. ამ უკანასკნელმა, როგორც შეშვენის მთის კაცს, პატივით გააცოცლა სტუმრები მეორე სოფელ მესტიამდე. აქ რამდენიმე აზნაურმა, გვართ ჯაფარიძეებმა, განიზრახეს მღვდლების შეპყრობა, მაგრამ მურზა მარგიანმა შესძლო მღვდლების შეხიზვნა მახლობელს კოშკში. ამ გვარად სტუმართ მოყვარე სევანმა მღვდლები გადაარჩინა სიკვდილს, მაგრამ თითონ-კი ვერ გადაარჩა: უკან დაბრუნებისას დახვდნენ ისევ ის აზნაურები და შეპყრობა დაუპირეს. ეს ლალმა მთიელმა იუკადრისა და თავი შესარცხვენად არ მისცა. ასტყდა იქით-აქით თოფის სროლა, რომლის დროს მურზამ ორი აზნაური მოკლა და ერთიც დასჭრა და შემდეგ თითონაც მოკლულ იქმნა.

აქედგან იწყება ახალი ხანა გიორგისა და მისი ძმისათვის; ისინი იხიზნებიან კოშკში,

*) იხ. „შინ. საქ.“ № 30.

რადგან ჯაფარიძეებისაგან სისხლის აღება მო-
 ელოდათ მიუხედავად იმისა, რომ მურზას გვა-
 მი დიდის საფასით (1500 მან.) იქმნა გამო-
 ყიდული ჯაფარიძეების ხელთაგან. ამ დროს
 შემთხვევით შეეყარა გიორგის, მაშინ უნტროსს
 პაპას, კეთილმოწესე სვანეთის ეკლესიათა
 მღვდელი ქუთათელაძე, რომელმაც შეატო-
 ნიკი გიორგის და წაიყვანა ქუთაისს სწავლის
 მისაღებად. დაჯეკაცებული გიორგი სწავლობს
 ყოვლად სამღვდლო გაბრიელის ხარჯით ქუ-
 თაისში და რამოდენიმე ხნის შემდეგ იმწესე-
 ბა მეღვინეთად სვანეთშივე. აქ ახალგაზდა სვა-
 ნი, ყოფილი პაპა, გულსმოდგინეთ ეკიდება
 სამსახურს, რის შემდეგ მღვდლის ხარისხს პო-
 ულობს მოკლე ხანში.

მლოცველი გიორგი გამოდის ახალს ას-
 პარეზზედ საფეხით მომზადებული: იგი ხალხის
 შვილია, მასთან შეზრდილი და შესისხლხორ-
 ცებული. სახარების ქადაგება და კეთილი
 ცხოვრება უპოვებს მას ხალხის სიყვარულსა
 და ნდობას. იგი სათაყვანებელ პირადა ხდება
 არა თუ სვანთა, არამედ სამღვდლოთა
 შორის, რომელიც მას ერთხმად მოძღვართ-
 მოძღვრად ირჩევენ.

საზოგადო მოღვაწეობის გარდა მ. გიორ-
 გი შესანიშნავია, როგორც ქეშპარიტი მამა და
 ოჯახის ბურჯი. მიუხედავად ცუდის პირობე-
 ბისა იმას ოთხივე ვაჟი მიჰყავს ქუთაისში სასწა-
 ვლდებლად; თითონ იკლებს, გაჭირვებულად
 სცხოვრობს და ამგვარად ოთხსავე შვილს სწავ-
 ლას აძლევს: ორს საშუალოს, ერთს მდაბალს
 და ერთსაც სამხედრო სამსახურისას. მამა გი-
 ორგიმ თავისავე სიტყვებში მისცა ვნა შეი-
 ლებს და გამოიყვანა ისინი ცხოვრების ასპა-
 რეზზედ საშოკმედოდ. სამი შვილი მღვდელობს
 სამშობლოში, ხოლო მეოთხე ჯარშია ოფიც-
 რად. თავისი ასულნიც მ. გიორგიმ დი-სეულს
 კაცებს მისცა და ამ გვარად ერთი ოჯახიდან
 რამოდენიმე ოჯახი შექმნა და მით საზოგა-
 დოებს ცოტათ თუ ბევრად მომზადებულნი
 წვერნი ჩააბარა.

ყოველსავე ამაში მ. გიორგის მარჯვენა

ხელს შეადგენდა მისი მეუღლე, ბუნებითი სვა-
 ნი და უსწავლელი ქალი, მაგრამ ოჯახისა და
 შვილების ერთგული.

დღეს მ. გიორგი თუმცა-ღა გათეთრებუ-
 ლია, მაგრამ კიდევ მხნედ არის. მთელი სვა-
 ნეთი თაყვანსა სცემს მას და „მახვშის“ (უფ-
 როსს) ეძახის. მიუხედავად თავის სიმხნისა, მან
 სამსახურს თავი დაანება და მრევლი შვილს
 დაუთმო.

მისი ქალარა მოწმობს მასში დიდს გამო-
 ცდილებასა, ტკბილი საუბარი—იესო ქრისტეს
 მცნებათა გავლენას, ღრმა ქართული—საღმრ-
 თო წერილის სავსებით ცოდნასა, ცხოველი
 სიტყვა—სახარების მადლსა, კეთილი მაგალი-
 თი მოძღვრის ღირსებას და სტუმართ-მოყვა-
 რეობა—მთიელთ ეს ღირსეული მხარე—მოყ-
 ვასთა სიყვარულს; იგი დღეს 75 წლისაა.

რამდენად სასაცილოა პაპათა შესახებ
 თქმული ზოგიერთი მხარე, მით ერთი ორად
 საქებარია მათი დეაწლი, მოქმედება და ყოფა-
 ცხოვრება, რომელთაც ნაკლულევანებასთან
 ერთად ღირსებაც აქვსთ!.. ხალხს უყვარდა
 ისინი... ოხ, რა ბედნიერი ვიქნებოდით—ეს-
 ლა რომ იყოს იმ გვარი სიყვარული მოძ-
 ღვართა და მოწაფეთა შორის!..

ამას ჩვენ არ ვაზიანდებთ და დასამტკი-
 ცებლად ჩვენის აზრისა ჰკითხეთ თითონ
 ხალხს...

ბჭად. მღვ. ი. შარვაში.

ნ ა რ ე ვ ი.

რამდენს ვაგულობენ კალორიზაციას?

რუს-ამერიკელ რეზინის მანიფაქტურის ამხანა-
 გობა „ტრეუკოლნიკს“, რომლის ძირითადი
 თანხა 18 მილიონ მანეთს უდრის, შარშან მო-
 უგია 7,389,147 მანეთი და 44 კ., ე. ი. მან-
 ეთზე წმინდა მოგება აუღია 41 1/2 კაპიკზე
 ცოტა მეტი. მაშასადამე სამ მანეთიან კალო-

შებზე საზოგადოება ერთ მანეთს და 24 1/2 კაბ. წმინდა შოგებას ღებულობს მყიდველისაგან!!!

600 ნივთი. ერთ ქლაქ ჩიტაში მცხოვრებს, რომელიც ვარშაველ ვაქრის რეკლამას შეუცდენია, გაუგზავნია ამ ვაქრისათვის 3 მანეთი და გამოუწერია ის ექვსასი ნივთი, რომელიც აღთქმულს იყო რეკლამაში. რამოდენიმე ხნის შემდეგ მან მიიღო ფოსტით პატარა ყუთი, რომელ შიდაც აღმოჩნდა უვარგისი საათი, ასეთივე რეზინის შტემპელი, სამუ ურჩიანი ჯაყვა დანა, კიდევ ორი თუ სამი რაღაც ყმნიშვნელო ნივთი და 590 ჩვეულებრივი ქინძასთავი.


ლია ბარათები ბარომბრით. ერთ იტალიელს გამოუშვია გასაიდათ ღია წერილები ქიმიურ შემადგენლობით გაზენილი, რომლებიც მოსალოდნელ ამინდის შესაფერად იცვლიან ფერს და ამით ატყობინებენ ადამიანს ამინდის ცვლებადობას. ღია წერილის ერთ გვერდზე დახატულია კაცი ქოლგით ხელში. კაც ამინდის მოლოდინში ქოლგა ვარდის ფერს ღებულობს, ცვლებადის—ლილის ფერს, ხოლო წვიმის წინ იგი ცის ფერად იქცევა.

როგორ უნდა მოვიყვებით რომ ფხისათვი არ დასველდეს? აურიეთ ერთი-მეორეში 100 გრამი ყვითელი ცვილი, წმინდათ დაფხეკილი ან დაჭრილი, 100 გრამი გაღმოდულებული ქონი და 100 გრამი თაფლი. წამოადუღეთ ნელ ცეცხლზე და როცა გაღვავეს, ჩაასხით 50 გრამი სკიპიდარი და კარგათ აურიეთ. სანამ ამ სითხეს იხმარდეთ, ფეხსაცმელი ცოტა მიათბეთ ცეცხლზე და შემდეგ წაუსვით ნახევრი ჩვრით ან სხვა რამეთი. ფეხსაცმელი დიდხანს ძლებს და არ სველდება.

„ზინაური სამყვების“ ფოსტა.

მდ. ზ. კვარაცხელიას: — სინოდის ღონისძიებით ჩინზე წარდგენას არ უშდის. მასვე: — კანონში განმარტებულია, რომ მხო-

ლოდ ოთხშაბათ-პარასკევის წინადით საღამოს არ შეიძლება ჯვარისწერა ოთხშაბათ-პარასკევზე კი არაფერია ნათქვამი, მაშასადამე ამ დღეებში უფელ დროს შეიძლება ჯვარისწერა დადიდგან დაწეებული.



რედაქტორი, მღვდელი სიმონ მამდლიძე. გამომცემელი, იოსებ ლეჟავა.

ზ ა ნ ც ხ ა ლ ე ბ ა ნ ი .



სტამბა „ურკმა“

— დაბა შვირილაში —

შვირილის რკინის გზის ხიდის პირდაპირ ღებულობს უოველგვარ სასტამბო საქმე.

გებულებათ: ბლანკებს, აფიშებს, განცხადებებს, წიგნებს, ბროშურებს და უოველგვარ მოსაწვევ წერილებს: ქარწინებისას, ნათფისას, სამგლოვიარისას და სხვ. აგრეთვე კონტრატებისათვის საანგარიშო წიგნებს და წიგნაკებს, კვიტანციებს, იარღიკებს, სადარბაზო ბარათებს (გაზ. კარტ.) და სხვ.

აგრეთვე გვაქვს დაზადებული ყველა სასწავლე ბლ. სათვის კლასის უფრნალები და ბილეთები.

საქმეებს გასრულებთ სუფთად და თავის დროზე ძლიერ დაკლებულ ფასებში.

რაშიდაც შეუძლიანთ დარწმუნდენ თვით პატივცემულნი ზაკაზჩიკები.

ადრესი: შვირილა სტამბა „ურკმა“.

Адресъ: Типогр. „Трудъ“ Кварылы



სამხატვრო სახელოსნო

ა. ი. ყირიაკოვისა. ქ. ქუთაისში.

ღებულობს უოველგვარ სამხატვრო-საეკლესიო სამუშევარს. ასრულებს დროზე, სუფთათ, საძიებლო და სინდისიერათ.

ფასება ნახატების დასებაზე და ზომასზე დამოკიდებული და ყოველ შემთხვევაში საშუალოა.

სამხატვროს არავისთან დამოკიდებულება და კავშირი არ აქვს და ამიტომ ყველას სთხოვს პირადათ მასთან მოიქცენ და არ დაუჯერონ ზოგიერთ ჩარჩ მხატვრებს და მოიჯარადრეებს რომლებიც ჩვენი ფირმის სახელით სარგებლობენ საქმის აღების დროს სოფლებში. სამუშევრს პირობით ვღებულობთ, თუ მოწონებული არ იქნება სასულიერო მთავრობისაგან უკანვე ვიბრუნებთ და სხვას ვასრულებთ იმავე მთავრობის შენიშვნისამებრ.

ჩვენი ფირმა სარგებლობს კურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის უოვლად სამღვდელთა **ლაონიდას** ნდობით და გვაქვს მათი მეუფებისაგან შესაფერი მოწმობა.

ადრმხი: „შინაურა საქმეების“ რედაქცია ან ივანოვის ქუჩა № 14.

„შინაური საქმეები“-ს რედაქციაში იყიდება:

კლიროვის უწევებები ახალი ფორმისა და ეველა უწევებები (ВЪДОМОСТИ) წლიური საბლადონინო ანგალიშებისათვის. ბლანკები „ქმობის“ გამოცემა და ფულიც მას ეკუთვნის. ფასი ბლანკებისა—რწვეილი 5 კაპ. ვინც ორასზე მეტს დაიბარებს—4 კაპ.

ხვედრი ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Кутаись, Правленіе религиозно Просвѣтительнаго „братства“.

Ольденбургская д. № 5.

სტამბა „ზრომა“ დაბა ევრიანდაში. ● Типографія „Трудь“ въ м. Квирилы